



შეტყობინება ობლიგაციების სრულად გამოსყიდვის შესახებ  
მიმართული ობლიგაციების მფლობელების მიმართ  
10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულების, საპროცენტო განაკვეთი 7.5%,  
არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული ვალდებულებები  
გამოცემული შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის მიერ  
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 204972155)  
ISIN: GE2700603949

წინამდებარე გამოუთხოვადი შეტყობინება განკუთვნილია ამავე შეტყობინებით განსაზღვრული ობლიგაციების მფლობელებისათვის (ობლიგაციონერები) და ეხება შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის (იგივე ემიტენტი) გადაწყვეტილებას, სრულად გამოსყიდოს 2020 წლის 31 აგვისტოს გამოშვებული 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულების, 7.5% საპროცენტო განაკვეთის მქონე არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული ობლიგაციები, 2020 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული საბოლოო პროსპექტის „ობლიგაციების გამოშვების პირობების მე-8 ქვეთავის „ობლიგაციების განადგება და გამოსყიდვა“ შესაბამისად.

გამოსყიდვა განხორციელდება 2022 წლის 28 თებერვალს, თითოეულ ობლიგაციაზე/1,000 აშშ დოლარზე დარიცხული ძირი თანხის 1,000 აშშ დოლარისა და „გამოსყიდვის ოფციის თარიღის“ მდგომარეობით დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობისას) ღირებულებით, რომელიც 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით შეადგენს 1,000 აშშ დოლარზე 37.19 აშშ დოლარს, რის შედეგადაც გადაიხდება ძირი თანხა და მასზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი - თითოეულ 1,000 აშშ დოლარზე 1,037.19 აშშ დოლარი.

გადახდის აგენტი:

სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206)  
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0105, 3, პუშკინის ქუჩა  
ტელ: (995 32) 2444-132; (995 32) 24401-111  
ელ-ფოსტა: st@gt.ge

ობლიგაციონერების წარმომადგენელი:

შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“; (ს/ნ 204484628)  
მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28.  
ტელ: (995 32) 2207-407;  
ელ-ფოსტა: eprem@nplaw.ge

შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია (იგივე ემიტენტი)

14 იანვარი, 2022 წელი

*Handwritten signature in blue ink*

